პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2024 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (დანართი თან ერთვის) .
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ს/კ 421272027 5400 ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. №2 ☎995 577 57 62 76 (0 436) 22 22 29

N 122/4
10/01/2024

4-122-2-202401101202

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 9 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ხურცია

მმართველი
ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური, შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და ამ გზით მისი შენარჩუნება, მოსწავლეებისთვის დაწყებითი სამხატვრო და სამუსიკო განათლების მიცემა. ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის”: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მოსწავლეთა რაოდენობა 2023 წლისათვის შეადგენდა სულ: 653 მოსწავლეს.

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე 2023 წელს განხორციელდა შემდეგი სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გაიმართა და მონაწილეობა მიიღო რიგ ღონისძიებებში:

1 იანვარს - საახალწლო მიუზიკლი ,,ჯადოსნური წიგნი“. მონაწილეობა მიიღო: საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ; ვოკალის წრემ და ბალეტის წრემ. (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე, ნ.ცერცვაძე) ს/დ ,,ივერია“ .

6 იანვარს - საშობაო ღონისძიება ,,საშობაო ბაზრობა“. მონაწილეობა მიიღო: ვოკალის წრემ.(ხელ-ლი: ხ. ბუაძე) ს/დ ,,ივერიის“ მიმდებარე ტერტორია.

27, 28, 29 იანვარს - ბორჯომ-ბაკურიანის ფესტივალი ,,ჰარირა 2023“ მონაწილეობა მიიღო: ვოკალის წრემ. (ხელ-ლი: ხ. ბუაძე) ქ. ბორჯომის კულტურის სახლი.

2 თებერვალს - მსოფლიოს საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შიდა საწრეო მეცადინეობა ჩაატარა საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ; (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

8 თებერვალს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით კონფერენცია ,,ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ ჩაატარა დაწყებითი განათლების წრემ (ხელ-ლი: თ. ხურცია) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

5 მარტს - შესარჩევი ტურნირი კარატეს ოლიმპიურ სახეობა ,,ტაეკვონდოში“ (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

6 მარტს - საგაზაფხულო ღონისძიება ,,გაზაფხული, დედა და სიყვარული“ მონაწილეობა მიიღო: საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ; ვოკალის წრემ; ბალეტის წრემ და ხელმარჯვეთა წრემ (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე, ნ.ცერცვაძე, ტ. ხახნელიძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

19 მარტს - საერთაშორისო ფესტივალი ,,აპოლონიადა 2023“ მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხ. ბუაძე) ქ. ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ბალეტისა და ოპერის თეატრი.

20 მარტს - ეკოლოგიის წრის მოსამზადებელი მეცადინეობა წყლის რესურსების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

21-22 მარტს - წყლის რესურსების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) ბაღდათის მუნიციპალიტეტი.

3 აპრილს - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ინგლისური ენის ღია საწრეო მეცადინეობა-სახალისო ტესტირება. (ხელ-ლი: თამთა თუთბერიძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

3-13 აპრილს - ეროვნული ჩემპიონატისთვის ტაეკვონდოს ეროვნული ნაკრების საწვრთნელი გადამზადება. (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

20 აპრილს - დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,იაკობიდან ფარნავაზამდე“ მონაწილეობა მიიღო: საბავშვო თეატრის წრემ და ვოკალის წრემ(ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ. ბუაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

22 აპრილს - დედამიწის საერთაშორისო დღისთან დაკავშირებით ეკოლოგიის წრემ ჩაატარდა კონფერენცია (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

4 მაისს - თეატრალიზებული მიუზიკლი, ირმა მალაციძის საბავშვო პიესა ,,მუსიკალური ბგერები“ ჩაატარა საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ და ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ. ბუაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

7 მაისს - ჭიათურის ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) ქ. ჭიათურა.

7 მაისს - ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და მსოფლიო ხალხთა ცეკვის რესპუბლიკის ფესტივალი ,,ბროლის ცერი 2023“-ში მონაწილეობა მიიღო ბალეტის წრემ (ხელ-ლი: ნ. ცერცვაძე) ქ. თბილისის საქართველოს პროფკავშირულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირი.

18 მაისს - ერონული სამოსის დღეს ერონული სამოსით მსვლელობა და კონცერტი მონაწილეობა მიიღო: ხალხურ საკრავთა წრემ და ვოკალის წრემ. (ხელ-ლი: ხ.ბუაძე, თ.თევზაძე)

მსვლელობა- მერიის შენობიდაბ ს/დ ,,ივერიის" შენობამდე. კონცერტი-ს/დ ,,ივერიის" მიმდებარე ტერიტორია.

19, 20, 21 მაისს - ,,საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვონდო 2022"-ში მონაწილეობა მიიღო ტაეკვონდოს წრემ (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) ქ. კასპი.

24 მაისს - მუსიკალურ-ლიტერატურული სპექტაკლი ,,გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!" სცენარისტი: ოქროპირ სვანაძე, მონაწილეები: გიტარის წრე და ხალხურ საკრავთა წრე. (ხელ-ლი: გ. ნაოჭაშვილი, თ. თევზაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო: ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხ.ბუაძე) პარკის მიმდებარე ტერიტორია.

8 ივნისს - ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა ჭადრაკში (ხელ-ლი: ა. გოლეთიანი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

9 ივნისს - გიორგი ლეონიძის შემოქმედება. ღია საწრეო მეცადინეობა საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრეში (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

9 ივნისს - ღია საწრეო მეცადინეობა ინგლისურის წრეში (ხელ-ლი: თ. თუთბერიძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

9 ივნისს - გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შემაჯამებელი გაკვეთილი ეკოლოგიის წრეში. (ხელ-ლი: ც. ბერეკასვილი) წყალტუბოს ცენტრალური პარკი.

13 ივნისს - შემაჯამებელი საანგარიშო კონცერტი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა შემდეგი წრეები: საბანშვო თეატრის მოყვარულდა წრე; ვოკალის წრე; ბალეტის წრე; ხალხურ საკრავთა წრე და ხელმარჯვეთა წრე. (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე, ნ.ცერცვაძე, ტ. ხახნელიძე, თ. თევზაძე) ს/დ ,,ივერია".

14 ივნისს - შემაჯამებელი გაკვეთილი მათემატიკის წრეში ,,მიუვალი ადგილის გაზომვა და ხის სიმაღლის დადგენა, ჩრდილის მეთოდი" (ხელ-ლი: თ. ჩიხლაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

15 ივნისს - შემაჯამებელი გაკვეთილი ქორეოგრაფიაში (ხელ-ლი: სერგო ბაბიანი) სკოლა ,,ოცნება"

16 ივნისს - სოფელ სორმონის საჯარო სკოლასა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. სორმონის სკოლას უმასპინძლა მოსწავლე-ახალგაცრდობის სახლმა და კონცერტი გამართა შემოქმედებითმა წრეებმა: საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ ვოკალის წრემ და გიტარის წრემ. (ხელ-ლი: ხ. ბუაძე; ქ. ანდრიაძე; გ. ნაოჭაშვილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

16 ივნისს - შემაჯამებელი გაკვეთილი გიტარის წრეში (ხელ-ლი: გ. ნაოჭაშვილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

19, 20 , 21, 22 ივნისს - ფესტივალი ,,ჰარირა 2023". ქ. ქობულეთი და ფესტივალი ,,მეგობრობის მერიდიანი 2023". ქ. ბათუმი. ვოკალის წრე (ხელ-ლი: ხ. ბუაძე)

23 ივნისს - ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა ქორეოგრაფიაში (ხელ-ლი: რ. მარგიანი; მ. იოსელიანი) სკოლა ,,ოცნება".

26 ივნისს - საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის, ტაეკვონდოს იმერეთის რეგიონალურ ფედერაციაში შემავალი კლუბების სპორტსმენებთან შეხვედრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან ქალბატონ თეა წულუკიანთან. ტაეკვონდოს წრე. (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) ქ. თბილისი.

26-30 ივნისს - ,,მწვანე ბანაკის" მასპინძლობა და ეკოლოგიის წრის მონაწილეობის მიღება (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

30 ივნისს - პედაგოგიური საბჭო. (მენეჯერი: იზოლდა ჯანგავაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

2-12 აგვისტოს - ტაეკვონდოს წრის საწრეო შეკრება, 28 აგვისტოს ღია ჩემპიონატისთვის მზადება. (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

15, 16 ,17 სექტემბერი - ბათუმის ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში (ხელ-ლი: ზ სალუქვაძე) ქ. ბათუმი.

1-30 სექტემბერს - მოსწავლე-ახალგაზრდობის წრეებში მოხდა მოსწავლეთა რეგისტრაცია-ჩარიცხვა. დაკომპლექტდა წრეები. II კვარტლის მონაცემებით ირიცხებოდა 319 მოსწავლე და დღევანდელი მდგომარეობით ჩარიცხულია 359 მოსწავლე.

18 სექტემბერს - ღია კარის დღე. (მენეჯერი: ი.ჯანგავაძე; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები.) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

30 სექტემბერს - ,,შემოდგომა წყალტუბო 2023" მონაწილეობა მიიღო: ვოკალის წრემ; ბალეტის წრემ და ტაეკვონდოს წრემ (ხელ-ლი: ხ. ბუაძე; ნ. ცერცვაძე; ზ. სალუქვაძე).

17 ოქტომბერს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) ჩაატარა პრაქტიკული მეცადინეობა თემაზე ,,ჯანსაღი კვება და მისი მნიშვნელობა".

22 ოქტომბერს - საერთაშორისო ფესტივალი ,,საირმე 2023" მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალურმა ჯგუფმა ,,ოცნებამ" (ხელ-ლი: ხ. ბუაძე).

25 ოქტომბერს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე) ჩაატარა იგა-ვარაკების კონკურსი.

22 ნოემბეროს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) ჩაატარა პრაქტიკული გასვლითი გაკვეთილი, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკში.

29 ნოემბერს - საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციამ იმერეთის რეგიონში ტაეკვონდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ბრინჯაოს თასით დააჯილდოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრის ხელმძღვანელი ზურაბ სალუქვაძე.

5 დეკემბერს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) ჩაატარა პრეზენტაცია ,,ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღე"

15-16-17 დეკემბერს - ქალაქ თბილისში ოლიმპიურ ქალაქში ჩატარდა საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრემ (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე).

20 დეკემბერს - ქ. წყალტუბოს მთავარი ნაძვისხის გახსნაზე მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალური ჯგუფი ,,ოცნების" (ხელ-ლი: ხ. ბუაძე) და ხელმარჯვეთა წრის (ხელ-ლი: ტ. ხახნელიძე)

21 დეკემბერს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ნაწვის ხის ანთების საზეიმო ცერემონია გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო თეატრის მოყვარულთა წრის, ვოკალის წრის და ხელმარჯვეთა წრის მოსწავლეებმა. (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ. ბუაძე, ტ. ხახნელიძე).

24 დეკემბერს - ქ. ქუთაისში ნიღბების „თეატრში" შემოქმედებითი გაერთიანება „აიას" ხელმძღვანელობით ჩატარდა წინა საახალწლო საქველმოქმედო ღონისძება, სადაც მონაწილეობა მიიღო ვოკალურმა ჯგუფმა „ოცნებამ" (ხელ-ლი: ხ. ბუაძე)

29 დეკემბერს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ 2023 წლის საუკეთესო სპორტცმენები დააჯილდოვა. მათ შორის იყვნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრის ხელმძღვანელი ზურაბ სალუქვაძე და წრის 3 სპორტცმენი (გიორგი ლექვთაძე, ანასტასია მაღლაფერიძე, მარიამ აფხაძე).

სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. სამუსიკო სკოლაში ირიცხებოდა 174 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში მოსწავლე იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში:

2023-24 სასწავლო წლის II სემესტრში - 7 მარტს გაიმართა ბიჭუნათა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის ყველა ვაჟმა მოსწავლემ.
31 მაისს სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა პირველკლასელთა ღია კონცერტი, მასში მონაწილეობა მიიღო სამივე განყოფილების პირველკლასელებმა.
7 ივნისს კი ჩატარდა სკოლის ღია აკადემიური კონცერტი , მონაწილეობას იღებდა სამივე განყოფილების წარმატებული მოსწავლეები.
15 ივნისს ასევე სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა VI კლასელთა დამამთავრებელი კონცერტი.
გარდა შიდა კონცერტებისა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს
სხვადასხვა რესპუბლიკურ კონკურსებში:
19 მარტს ქალაქ ქუთაისში გამართულ ,,ფესტივალ-კონკურსში ,,იპოვე შენი ვარსკვლავი", კონკურსის მონაწილეები დაჯილდოვდნენ I და II ხარისხის დიპლომებით, აქედან I ხარისხის დიპლომის მფლობელები წარსდგნენ გალა კონცერტზე ქ.თბილისში;
4 აპრილს ქ.ზესტაფონში გამართულ ქართული მუსიკის კონკურსში;
4 აპრილს, ქ.ქუთაისის მეორე სამუსიკო სკოლაში გაიმართა თეორიული კონფერენცია ,,თაობათა ცვლა" სადაც პედაგოგ დარეჯან კოვზირიძის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო VI კლასის მოსწავლემ ილია ხანთაძემ და დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომით.
20 აპრილს სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი ფოლკლორში პედაგოგ ნოშრევან ანთიას მიერ, რომელმაც ისაუბრა ქართული ხალხური ინსტრუმენტების წარმოშობის ისტორიაზე.
26 აპრილს პედაგოგ მედეა ახობაძემ ჩაატარა მეთოდური გაკვეთილი ფორტეპიანოში ,,დაწყებითი სწავლების მეთოდები", ნაჩვენები იყო მეთოდები რომელსაც იგი იყენებს მოსწავლეებთან მუშაობის დროს.
21 მაისს ქ.სენაკში სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ ,,სენაკის არტ-ფესტივალზე", მონაწილეებს გადაეცათ საპატიო დიპლომები, ლაურეატის წოდება მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლმა და ვოკალურმა ანსამბლმა. სასწავლო წლის ბოლოს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და მე-6 კლასელთა დამამთავრებელი გამოცდები.
2023-24 სასწავლო წლის 22 სექტემბერს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა პირველკლასელთა მისაღები გამოცდა, რის საფუძველზეც სკოლაში ჩაირიცხა 41 პირველკლასელი. 30 სექტემბერს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა მასტერკლასები პიანისტ მამუკა სიხარულიძისა და კომპოზიტორ კახა ცაბაძის მიერ, გაიმართა თურქეთის ქ.ანკარის , ბილკენტის უნივერსიტეტთან არსებული სამუსიკო სკოლის მოსწავლეების კონცერტი.

1ოქტომბერს სახალხო დღესასწაულის ,,შემოდგომის წყალტუბოს“ ფარგლებში ,,თეთრა მღვიმეში“ ჩატარდა სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და ქუთაისის მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის (კამერული შემადგენლობით) ერთობლივი კონცერტი.
15 დეკემბერს სკოლაში ჩატარდა დახურული კონცერტი.
18 დან 26 დეკემბრამდე სემესტრული ჩათვლები ყველა საგანში-თეორიულ, საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალურ განყოფილებებზე.
28 დეკემბერს სკოლაში ჩატარდა საშობაო კონცერტი , რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამივე განყოფილების მოსწავლეებმა და ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,აისი“.

სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.
სკოლაში ირიცხებოდა 108 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.
სამხატვრო სკოლა დაამთავრა 14- მა მოსწავლემ, დანარჩენი გადაყვანილი იქნა მომდევნო კლასში.
2023 წლის სექტემბრის თვეში I კლასში მივიღეთ 26 მოსწავლე და სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა გახდა 120.
მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.
სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების“ შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია.
სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.
2023 წლის 6 იანვარს წყალტუბოში აღინიშნა საახალწლო დღესასწაული ,,საშობაო სოფელი“ , სადაც მოეწყო წყალტუბოელ მეწარმეთა (12 ოსტატი) ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა,
24 იანვარს მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 15 რეწვის ოსტატის საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატის წოდების მინიჭება და სიგელებით დაჯილდოება.
14 თებერვალს სამხატვრო სკოლაში სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა თეორიული კონფერენცია ,,რუსუდან ჯავრიშვილი“.
6 მარტს ,,ქალის სახე სახვით ხელოვნებაში“ სამხატვრო სკოლის სპეციალისტების მიერ მომზადდა თეორიული კონფერენცია ,,პრიმავერა“, ასევე მოეწყო მოსწავლეთა თემატური ნამუშევრების გამოფენა.
20 აპრილს სამხატვრო სკოლაში გაიმართა მხატვრულ ლიტერატურული ღონისძიება თემაზე: ,,ქართული ენა დედაა ყოველთა ენათა“.

18 მაისს ეროვნულ სამოსის დღესთან დაკავშირებით მარიამ ჯიბუტმა მოსწავლეებს წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე ,,ქრთული ტრადიციული სამოსი".

22 მაისს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: ირაკლი ფარჯიანის ცხოვრება და შმოქმედება".

12 ივნისს სამხატვრო სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა.

22 აგვისტოს საგამოფენო დარბაზში გაიმართა სამხატვრო სკოლის ფონდების გამოფენა.

18 სექტემბერს წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნა რეგიონალური საფეხბურთო ტურნირი, სადაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული იქნა თემატური ნამუშევრები(ასფალტზე ცარცით ხატვა).

28 სექტემბერს ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა საქალაქო ღონისძიების ,,შემოდგომის წყალტუბოს" ფარგლებში ხატვის კონკურსი, სადაც ჩართული იყო სამხატვრო სკოლის 20 მოსწავლე.

30 სექტემბერს ,,შემოდგომის წყალტუბოს" საქალაქო ღონისძიებაში გამოფენილი იყო მოსწავლეთა სახვითი ნამუშევრები, ასევე ჩართული იყო რაიონში მოღვაწე რეწვის ოსტატები.(გამოფენა-გაყიდვა)

27 ოქტომბერს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: ,,ოგიუსტ როდენისა და იაკობ ნიკოლაძის „შემოქმედება.

14 დეკემბერს ჩატარდა თეორიული კონფერენცია-,,ავთო ვარაზის „ ცხოვრება და შმოქმედება.

2023 წლის 27 დეკემბერს სამხატვრო სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2023 წელს დაზუსტებული ხარჯები იყო 689500 ლარი. ათვისებულია 632118 ლარი და 85 თეთრი.

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 551347 ლარი, ათვისებულია – 532462 ლარი და 94 თეთრი;
2. პრემია-ჯილდო დამტკიცებულია-43313 ლარი,ათვისებულია-34603 ლარი და 15 თეთრი;
3. მივლინების ხარჯი დამტკიცებულია - 900 ლარი, ათვისებულია 490 ლარი;
4. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 4500 ლარი, ათვისებულია - 2517 ლარი;
5. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებულია - 549 ლარი;
6. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 3000 ლარი, ათვისებულია - 1835 ;
7. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 4000 ლარი, ათვისებულია-830 ლარი;
8. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 4500 ლარი, ათვისებულია -4500 ლარი;
9. შენობა - ნაგებობის და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯი - დამტკიცებულია - 2000 ლარი, ათვისებულია 100 ლარი;
10. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია 1000 ლარი, ათვისებულია 660 ლარი;
11. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 5800 ლარი, ათვისებულია – 4039 ლარი და 27 თეთრი. დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე;


12. საფოსტო მომსახურეობის ხარჯი დამტკიცებულია - 500 ლარი, აუთვისებელია;
13. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 22000 ლარი, ათვისებულია - 15921 ლარი და 48 თეთრი. დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე.
14. სამედიცინო ხარჯები - 500 ლარი, აუთვისებელია;
15. რბილი ინვენტარის ხარჯი - დამტკიცებულია - 2000 ლარი, აუთვისებელია;
16. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 4800 ლარი, ათვისებულია-4600 ლარი;
17. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 3843 ლარი. ათვისებულია- 3240 ლარი;
18. ფინანსთა ასოციასიის საწევრო დამტკიცებულია-4000 ლარი, ათვისებულია 4000 ლარი;
19. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 4900 ლარი, ათვისებულია 4848 ლარი;
20. დაცვის სისტემის შეკეთება დამტკიცებულია - 157, ათვისებულია 156 ლარი და 56 თეთრი;
21. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 1140 ლარი, ათვისებულია 894 ლარი;
22. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხარჯი დამტკიცებულია-540 ლარი, აუთვისებელია;
23. აუდიტორიული მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია - 1500 ლარი, აუთვისებელია;
24. საარქივო მომსახურების ხარჯი - დამტკიცებულია - 1500 ლარი, აუთვისებელია;
25. სამკინძაოს ხარჯი-დამტკიცებულია-500 ლარი; ათვისებულია 134 ლარი;
26. სხვადასხვა მასალების ხარჯი დამტკიცებულია 3000 ლარი, ათვისებულია 1688ლარი;
27. სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოები (ფიზიკური პირის მომსახურებით) დამტკიცებულია 3000 ლარი, აუთვისებელია;
28. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებული - 796 ლარი 45 თეთრი;
29. არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებულია 13260 ლარი, ათვისებულია - 13254 ლარი;

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნადაა დასახული კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონმისძიებების მომზადება-ჩატარება, ახალი აქტივობების ძიება და სააღმზრდელო საქმიანობაში მათი პრაქტიკული დანერგვა სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადება.

მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც

შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“
მმართველი



ნინო ხურცია